ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ბესიკი ბოსტოღანაშვილი

ეთნიკური უმცირესობების უმაღლეს განათლებაში პოლიტიკური მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესების თავისებურებები

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სანდრო ტაბატაძე

მოწვეული ლექტორი

თბილისი

2022 წელი

ანოტაცია

მოცემული კვლევა ყურადღებას ამახვილებს ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკის მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესების თავისებურებებზე. კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ზემოთხსენებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების როლი ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში. ნაშრომის მიზანია გაანალიზოს სხვადასხვა სოციალიზაციის აგენტის როლი პოლიტიკით დაინტერესების პროცესში და შეისწავლოს ის, თუ რა წვლილი შეიტანეს ამ აგენტებმა ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალო და სოციალური ინტეგრირების თვალსაზრისით. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდების ერთ-ერთი მეთოდი, სიღრმისეული ინტერვიუ, რომლის დახმარებითაც გაანალიზდა ,,1+4“ პროგრამით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებანი პოლიტიკური მეცნიერებებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესების მიმართ.

სარჩევი

შესავალი 4

თავი 1. მოქალაქეთა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ინტეგრაციის საკითხები: თეორიული მიმოხილვა …….....12

1.1 პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითადი მიდგომები და აგენტები.....13

1.2 ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები.....18

თავი 2. პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამებით დაინტერესების თავისებურებანი.....21

2.1 საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამების როლი ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში 25

დასკვნა 30

გამოყენებული ლიტერატურა.....33

შესავალი

დამოუკიდებლობის ხელახალი მოპოვების შემდეგ, საქართველოს გაცხადებული კურსი დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო. ქვეყნის დემოკრატიული ხარისხის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორები ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვა და პლურალისტური და მრავალფეროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობაა (საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2015). საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, რომლის მრავალწლიანი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა (საქართველოს საკანონდებლო მაცნე, 2015), რომელთა რიცხვიც ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით მეექვსედს შეადგენს და მათი უმეტესობა აზერბაიჯანელები (დაახლოებით 6,3%) და სომხები არიან (4.5), (საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები, 2018) .

საქართველოს წლებია თავის საგარეო პოლიტიკურ კურსად არჩეული აქვს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია (საქართველოს კონსტიტუცია, 1995). ეს კი თავისთავად გულისხმობს ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, როგორიც საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების, მათ შორის ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვაა. ძალიან მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის ინტეგრაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში (ამირეჯიბი & გაბუნია, 2021), რაც სახელმწიფო პოლიტიკის მდგრადობასა და ეფექტურ მუშაობას ეკონომიკის, ენისა და განათლების სფეროებში გულისხმობს.

2021 წლის 13 ივლისს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ათწლიანი დოკუმენტი დამტკიცდა (საქართველოს მთავრობა, 2021). ეს დოკუმენტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას - ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობას მოიცავს და აგრძელებს

,,1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერას, რომელიც 2010 წლიდან არსებობს ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით. ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე მოხვედრა მხოლოდ ერთი გამოცდით, ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი ან ოსურენოვანი ტესტის ჩაბარებითაა შესაძლებელი (საკანონმდებლო მაცნე, 2010). ჩარიცხვის შემდეგ 1 წლის განმავლობაში სწავლობენ ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაზე და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბევრი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელდა, მნიშვნელოვანი წინსვლა ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით არ მოხდარა (სახალხო დამცველის ინსტიტუტი, 2018). ამასთან ერთად, საქართველოს პარლამენტშიც 150 წევრიდან 6 წევრია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი (ცესკო, 2020).

ამავდროულად, არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა უმეტესობას რეალურად პოლიტიკური იდენტობის განცდის პრობლემა აქვს, (ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი - NDI, 2018), რომლის გამომწვევი მიზეზი, სავარაუდოდ ისაა, რომ კომპაქტურად განსახლებულ ადგილებში ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული ენა. ბოლო წლებში შეიმჩნევა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები ცდილობენ მიიღონ უმაღლესი განათლება, ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია აზერბაიჯანელი აბიტურიენტების ,,1+4“ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მაჩვენებლის ზრდა. მაგალითად, 2010 წელს ის 194-ს შეადგენდა, ხოლო 2020 წელს - 935-ს. სომხურენოვან სტუდენტების შემთხვევაში კი 2010 წელს დარეგისტრირებულთა რაოდენობა 253-ს უდრიდა, ხოლო 2020 წელს 432-ს. (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, 2021). 2021 წელს აბიტურიენტთა პირველი არჩევანი, ბოლო წლების მსგავსად, გახდა ბიზნესის ადმინისტრირება, ფსიქოლოგია,

სამართალი და ჯანდაცვის მიმართულება (გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის წლიური ანგარიში, 2021). ასევე გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტთა რიცხვი 300-ით, რომლებმაც ,,1+4“ პროგრამით სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს. ბოლო წლებში დიდი პოპულარულობით სარგებლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ყველაზე დიდი კონკურსის მქონე საგანმანათლებლო პროგრამა იყო აბიტურიენტთა პირველი პრიორიტეტით (ერთიანი ეროვნული გამოცდების ანგარიში. 2015) პროფესიის არჩევის დროს ორ მნიშვნელოვან ფაქტორს ითვალისწინებენ (ჯანაშია, 2015) - დასაქმების მაღალ შანსსა და დასაქმების შემთხვევაში მაღალ ანაზღაურებას, მაგრამ, რასაკვირველია, სხვა ინტერესები და მიზეზებიც არსებობს. ამავდროულად, **აქტუალურია** საკითხი ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლების პოლიტიკის მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთერთობებით დაინტერესების თავისებურებებისა და ამ საბაკალავრო პროგრამების როლის შესახებ მათი ინტეგრაციის პროცესში.

ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური ინტეგრაციის პერსპექტივიდან გამომდინარე, საინტერესოა იმის შესწავლა, თუ რა ფაქტორებს აქცევენ ყურადღებას პროფესიის არჩევისას არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდა წარმომადგენლები. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაბალია ეროვნულ უმცირესობათა ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც ჩანს მათ წარმომადგენლობაზე არჩევით ორგანოებსა და სამთავრობო უწყებებში (ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი, 2018), ამდენად, საინტერესოა ის, თუ რა გამომწვევი მიზეზები შეიძლება ჰქონდეს პოლიტიკის მეცნიერებით და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებას უმაღლეს განათლებაში ეთნიკური უმცირესობებისათვის.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, **კვლევის ამოცანები** შესაძლოა, შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

- ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურის შესწავლა და კრიტიკულად გაანალიზება;
- პოლიტიკის მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებზე "1+4" საგანმანათლებლო პროგრამით მოხვედრილი კურსდამთავრებულებისა და სტუდენტებისგან პირველადი ინფორმაციის მიღება;
- ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლების პოლიტიკის მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობით დაინტერესების თავისებურებანი და ამ საგანმანათლებლო პროგრამათა როლის მათი ინტეგრაციის პროცესში შეფასება.

კვლევის აქტუალურობიდან და მიზნებიდან გამომდინარე, **საკვლევი კითხვები** ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: რა ფაქტორები განაპირობებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებში პოლიტიკური მეცნიერების შესწავლით დაინტერესებას არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებისათვის საქართველოში?

რა ეფექტი აქვს პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამებსა და სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობას ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში?

ამდენად, ზემოთხსენებული კითხვების საპასუხოდ შეიძლება, რომ შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს **ჰიპოთეზები:** ეთნიკური უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლებისათვის უმაღლეს საგანმათლებლო საფეხურზე პოლიტიკის მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით შესწავლით დაინტერესებას

განაპირობებენ ისეთი ფაქტორები, როგორებიც პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების, ოჯახის წევრების, სკოლისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების დიდი როლია.

უმაღლესი საგანმათლებლო დაწესებულების პოლიტიკის მეცნიერების და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამები და უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობა ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციასა და ადაპტაციას საზოგადოებაში.

ამდენად, მოცემულ კვლევაში **დამოუკიდებელი ცვლადია**: პოლიტიკური სოციალიზაციის დონე, რომელიც განისაზღვრა ისტონისა და დენისის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის განვითარების თეორიის მიხედვით (Niemi, R. G., & Sobieszek, B. I. 1977). იზომება სოციალიზაციის აგენტების: ოჯახის, სკოლის, თანატოლების, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების, მათ შორის უნივერსიტეტის როლის შეფასებით ინდივიდთა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში. ამავდროულად, **დამოკიდებული ცვლადია** ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელთათვის ინტეგრაციის ხარისხი. ესაა პროცესი, რომელიც მოიაზრებს საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა ჯგუფს შორის თანასწორობის დამკვიდრებას. ასევე, ის გულისხმობს ინდივიდის ფსიქიკურ პროცესთა კოორდინირებას გარემოსთან (Webster, 2021). იმისთვის, რომ გავიგოთ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის დონე, ამაში დაგვეხმარება მოვიძიოთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტები და გავიგოთ დღევანდელ რეალობაში როგორი ურთიერთობა აქვთ სხვა სტუდენტებთან და ლექტორებთან, რამდენად ჩართულები არიან უნივერსიტეტში მიმდინარე სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებებში.

მოცემული ნაშრომის **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პოლიტიკურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების დაინტერესების თავისებურებანი.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზი (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სახელმწიფო განათლების პოლიტიკის მარეგულირებელი დოკუმენტების, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების შესწავლა) და სიღრმისეული ინტერვიუები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებიც არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, 18-დან 24 წლამდე პირები). არამიზნობრივი ალბათური **შერჩევის** გზით, ჩატარდა სხვადასხვა დოკუმენტების ანალიზი და, აგრეთვე, სიღრმისეული ინტერვიუები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომელთა გამოკითხვის მიზანი იყო დადგენა იმისა, თუ როგორ აფასებენ თავიანთი ინტეგრაციის ხარისხსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე პროგრამებზე არსებულ ვითარებას.

ხელმისაწვდომობის შესაბამისად, მოცემული კვლევა მოიცავს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებათა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ამ სპეციალობათა დაინტერესების თავისებურებათა აღმოჩენასა და ინტეგრაციის დონის განსაზღვრას თანამედროვე საქართველოში. დროის სიმცირისა და სხვა რესურსების არქონის გამო კვლევა ვერ ჩატარდა სხვა უნივერსიტეტის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან, რის შედეგადაც არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით კვლევის რეპრეზენტაციის

დაბალი ხარისხის გამო მის შედეგებსა და მიგნებებს ვერ განვავრცობთ მასობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მოცემული საბაკალავრო კვლევის **თეორიული ჩარჩოა** ისტონისა და დენისის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის განვითარების გარკვეული სქემა (Niemi, R. G., & Sobieszek, B. I. 1977). ავტორები პოლიტიკური მხარდაჭერის თეორიაზე დაყრდნობით ინდივიდთა ფსიქოლოგიური თვისებების ფორმირებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ბავშვის მშობლებს, თანატოლებს, ახლო და შორეულ ნათესავებს, ვიდრე ისეთ ფორმალურ ორგანიზაციებს, როგორებიც არიან: სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სახელწმიფო, არმია და სხვ. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ მათ მიერ შემოთავაზებული თეორია თანამედროვე საქართველოს რეალობას შეიძლება მოვარგოთ. მკლევრები ბავშვთა შეხედულებებს პოლიტიკური ავტორიტეტების შესახებ გამოყოფენ ოთხ ტერმინში: პოლიტიზაცია, პერსონალიზაცია, იდეალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია. ამავდროულად, პოლიტიკური სოციალიაზიის მთავარ აგენტებად ასახელებენ ოჯახს, სკოლასა და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებს. იქედან გამომდინარე, რომ ვსწავლობთ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდების პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესების თავისებურებებს, რელევანტური შეიძლება იყოს მკლევართა მიერ შემოთავაზებული კვლევის მონაცემების განხილვა მშობლებსა და შვილებს შორის პოლიტიკურ ატიტუდების მსგავსების თავისებურებების, სკოლისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების როლის შეფასებით ინდივიდთა პოლიტიკური სოციალიაზაციის პროცესში.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო განათლების როლი ინდივიდთა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში დამხმარე თეორიულ ჩარჩოდ გამოვიყენეთ ადელსონის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური აზროვნების განვითარების თეორია (Adelson, 2008), რომელიც პიაჟეს კოგნიტური განვითარების პრინციპებზე მიდგომით არის შექმნილი. ადელსონის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია

ყურადღებას ამახვილებს ბავშვობისა და მოზარდობის პერიოდში ინდივიდების პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და ცნობიერების განვითარების პროცესებზე ხელისუფლებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. მოცემული კლასიფიკაცია გვეხმარება რა, უკეთ დავინახოთ დროის ზეგავლენის ხარისხი პოლიტიკური ცოდნის გაფართოების თვალსაზრისით, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ განათლებული და ინტელექტუალი ადამიანები სწორად აფასებენ პოლიტიკურ პროცესებსა და მოვლენებს ასაკისა და დროის მატებასთან ერთად.

არსებული თეორიები საინტერესოა მათში გადმოცემული იმ ზოგადი სურათის გამო, რომელიც ხსნის ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდების პოლიტიკით დაინტერესების მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მშობლების, თანატოლების, მასწავლებლების, მასმედიის თუ სხვათა ჩართულობას ეხება. ამასთან ერთად, გამოყენებულია თეორიული მასალები ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის შესახებ, რომლებშიც ასახული მთავარი ფაქტორები (ქართული ენის ცოდნის ხარისხი, სამოქალაქო ცნობიერების დონე და ა.შ.) გვეხმარება უკეთ ავხსნათ მოცემული საბაკალავრო სპეციალობათა როლის მნიშვნელობა მათ ინტეგრირებასთან დაკავშირებით საუნივერსიტეტო სივრცეში.

I თავი: მოქალაქეთა პოლიტიკური სოციალიზაციისა და ინტეგრაციის საკითხები: თეორიული მიმოხილვა

აკადემიურ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ინდივიდი ბავშვობიდან იღებს იმ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც გავლენას ახდენს შემდგომში მის პოლიტიკურ ქცევაზე, თუმცა ხშირ შემთხვევაში ვერც ხდება ამ ზეგავლენის გაცნობიერება (ალმონდი & ვერბა, 1989). განათლება დიდ როლს თამაშობს ინდივიდის სოციალიზაციის თვალსაზრისით, ხოლო სკოლა არის ის ერთ-ერთი პირველი სტადია, ის პირველი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც უწყობს ხელს აქტიურად პოლიტიკის შესახებ ცოდნის დაგროვებას. აღნიშნული ნაშრომის ამოცანათა გადასაჭრელად უნდა განვიხილოთ პოლიტიკური სოციალიზაციის ეტაპები, სოციალიზაციის აგენტების (ოჯახი, სკოლა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და ა.შ.) როლი, და ამ საკითხთან დაკავშირებული კვლევები და მოსაზრებები. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდთა პოლიტიკური გაუცხოება, პასიურობა ან აქტიურობა. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ინდივიდს აქვს სურვილი ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მიიღოს მონაწილეობა. ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდების ზოგადად პოლიტიკით დაინტერესება შეიძლება გამოწვეული იყოს, სავარაუდოდ, ისეთი პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტის გავლენით, როგორიც არის ოჯახი და მისი ოჯახური წარმომავლობა, ან სკოლა და ის სოციალური წრე, რომელშიც ის ატარებს დიდ დროს, და ასევე არსებობდეს სხვა ფაქტორებიც. ვინაიდან, აღნიშნული ნაშრომის ერთ-ერთი ამოცანაა განისაზღვროს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკით დაინტერესების თავისებურებები, მნიშვნელოვანია, მიმოვიხილოთ მათი პოლიტიკური სოციალიზაციისა და ინტეგრაციის შესახებ არსებული აკადემიური ლიტერატურა.

1.1 პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითადი მიდგომები და აგენტები

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკით დაინტერესების თავისებურებების შესწავლისას უმთავრეს საკითხს წარმოადგენს მათი პოლიტიკური სოციალიზაციის დონის განსაზღვრა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე. პირველყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკური სოციალიაზაცია ესაა პროცესი, როდესაც მიმდინარეობს ინდივიდის პოლიტიკურ სისტემასთან ადაპტაცია და მოქალაქედ ჩამოყალიბება, ანუ სწავლა-აღზრდის პროცესი, რომლის დროსაც მოზარდი თაობის გამაერთიანებელ ჯგუფებსა და ინსტიტუტებში მკვიდრდება საზოგადოებისთვის მისაღები ნორმები და ღირებულებები (Hess & Sigel, 1968).

პოლიტიკური სოციალიზაციის კლასიკური თეორიის მიხედვით ინდივიდის მიერ მისთვის პოლიტიკური როლის ათვისების საქმეში სპეციალური მომზადება აუცილებელია. ამ მხრივ, შესწავლილი უნდა იყოს ადამიანთა ხელისუფლების ინსტიტუტებთან მიმართების ხარისხი და მათ მიერ ათვისებული შესაბამისი ,,თამაშის წესები“ (Easton, Koen, Parsons, Lipton). რაც შეეხება ბიჰევიორისტულ თეორიას, ის პოლიტიკურ სოციალიზაციას იკვლევს როგორც ინდივიდუალური პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ან შთამომავლობით გადაცემულ (B. Skinner), ან სოციალური ინტეგრაციის შედეგად შეძენილ ნორმებთან და ღირებულებებთან (A. Maslow, R. Waters, R. Layne). ჩემი აზრით, მოცემული ორივე თეორია ავსებს ერთმანეთს და იძლევა პოლიტიკური სოციალიზაციის დანიშნულების მთლიან სურათს, რომელიც მოიცავს შემეცნებით, აღმზრდელობით და პრაქტიკულ პოლიტიკურ საქმიანობას.

ამგვარად, ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენელთა მოზარდის პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესების თავისებურების შესწავლაში მნიშვნელოვანია გამოიყოს პოლიტიკური სოციალიზაციის ეტაპები. სოციალიზაციის

პირველად აგენტებს შორის არის ინდივიდის უახლოესი გარემოცვა: მშობლები, თანატოლები, მასწავლებლები და ა.შ. (ჩიტაძე, 2018). მათი გავლენა თავისი მნიშვნელობის მიხედვით პირველ ადგილზეა, მეორადი აგენტებისგან განსხვავებით, რომლებიც არიან ფორმალური ორგანიზაციები: სკოლის ადმინსტრაციის წარმომადგენლები, სახელმწიფო, არმია და სხვ.

ისტონმა და დენისმა, პოლიტიკური მხარდაჭერის თეორიაზე დაყრდნობით, გადამწყვეტი როლი მიანიჭეს პირველადი სოციალიზაციის პროცესს და შემოგვთავაზეს ოთხ ტერმინში შეჯამებული ბავშვთა შეხედულებები პოლიტიკური ავტორიტეტების შესახებ (Niemi & Sobieszek, 1977). ესენია: პოლიტიზაცია, პერსონალიზაცია, იდეალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია. პოლიტიზაცია - უკვე 7-8 წლის ასაკისთვის ბავშვებში ფორმირდება იმის აღქმა, რომ ოჯახსა და სკოლაზე უფრო მეტი ძალაუფლება აქვს მათზე მაღლა მდგომ ავტორიტეტს. პერსონალიზაცია არის შემდეგი პერიოდი, როდესაც ბავშვები იწყებენ ავტორიტეტების გაცნობიერებას კონკრეტულად განსაზღვრული სიმბოლოებითა ან ინდივიდებით, მაგალითად მათ უკეთ იციან, ვინ არის პოლიციელი, ან პრეზიდენტი, ვიდრე ის თუ რა არის მთავრობა, ჯარი, კონგრესი. იდეალიზაციის დროს ბავშვები პოლიტიკური ფიგურებს უყურებენ, როგორც კეთილსა და სანდოს, ავტორიტეტები მათ თვალში დადებით განწყობას იძენენ. ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს იმ პერიოდს, როდესაც ბავშვისთვის ხელისუფლება ასოცირდება არა პიროვნებასთან, არამედ ინსტიტუტთან: პარლამენტი, პარტიები, სასამართლო. ისინი ხედავენ ნელნელა ნაკლოვანებებს ადამიანებსა და კანონებში. მიუხედავად იმისა, რომ ავტორების მიერ შემოთავაზებული კონცეფცია ეტაპობრივად აღწერს ბავშვთა პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს, ის მოიცავს რიგ დაუსაბუთებელ თეორიულ ასპექტებს. მაგალითად, პოლიტიზაციის დროს ბავშვი საკუთარ თავს თითქოს დაუცველად გრძნობს, ხოლო მხარდაჭერას ეძებს არა მშობლებისგან ან მეგობრებისგან, არამედ პოლიტიკური ლიდერებისა და ავტორიტეტებისგან. მართალია მკლევრები მიიჩნევენ იდეალიზაციასა და პერსონალიზაციას პოლიტიკური ცოდნის განვითარების

ნორმალურ ნაწილად, თუმცა ბავშვები შეიძლება აზვიადებენ პოლიტიკური ფიგურების კეთილშობილებათა იდეას, რადგან ისინი, სავარაუდოდ, ვერ იაზრებენ იმ კონტექტსა და გარემოებას, რომლებშიც ეს ავტორიტეტები მოქმედებენ. ჩვენ ვერ ვნახავთ იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ ინდივიდთა შემდგომი პოლიტიკური ქცევა ეფუძნება ამ პროცესებს (Niemi et al., 1977).

ოჯახი, სკოლა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები სახელდებიან პოლიტიკური სოციალიზაციის მთავარ აგენტებად. ამბობენ, რომ ოჯახში გაბატონებული შეხედულების გავლენით ყალიბდება მყარი პოლიტიკური პრიორიტეტები და ნორმები ინდივიდის აზროვნებაში. სოციალიზაციის გამოცდილების ზრდასთად ერთად ოჯახში შეძენილი ღირებულებანი მტკიცდება ან იცვლის სახეს. მკლევრები აღნიშნავენ, რომ მშობლებისა და შვილების მოსაზრებები ერთმანეთის მსგავსია, რადგან ისინი მსგავსი პოლიტიკური მოვლენების ქვეშ არიან, ერთი და იგივეა მათი საინფორმაციო წყარო და ერთნაირი მოდელებით გამოაქვთ დასკვნები (Niemi et al., 1977). როგორც კვლევები მოწმობს, მაღალი კორელაცია შვილებისა და მშობლების დამოკიდებულებებს შორის მხოლოდ მომხრეობა/პარტიზანობის მაჩვენებლების შემთხვევაში ჩანს, სხვა დამოკიდებულებებს შორის კი კორელაცია უმნიშვნელოა (Niemi et al., 1977). ჩემი აზრით, ისტონი და დენისი ცდილობენ ნათლად გვაჩვენონ ოჯახის როლი პოლიტიკური სოციალიაზაციის პროცესში და არ მიანიჭონ ყველაზე დიდი მნიშვნელობა ამ სოციალურ ინსტიტუტს, რადგან ოჯახისგან მიღებული პოლიტიკური პრიორიტეტები შეიძლება იყოს დროებითი, და არა სამუდამო, ვინაიდან ამას ოჯახური ცხოვრების ზოგიერთი ფაქტორი განაპირობებს (ის ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურულ ურთიერთობათა რთული სისტემა, რომელშიც არიან ჩართულნი ოჯახის წევრები).

საზოგადოდ, განათლების სისტემა, კერძოდ კი სკოლა, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ინდივიდთა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, ვინაიდან სწავლის

პროცესში მიმდინარეობს ,,მოქალაქეობის“, როგორც ცნების გააზრება და აღქმა, ამავდროულად, საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკურ ფასეულობათა გაცნობა და გააზრება, რომლის დახმარებითაც შენდება ხიდი განათლებასა და პოლიტიკურ სოციალიზაციას შორის (Niemi & Sobieszek, 1977). საშუალო სკოლის პერიოდში ინდივიდს აქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკური აზროვნების კოგნიტური უნარები, მაგრამ ზოგიერთი მკლევარი თვლის, რომ სკოლის მხრიდან ზეგავლენას არ აქვს შესამჩნევი შედეგები. ეს გარემოება შეიძლება აიხნას იმით, რომ სხვადასხვა მკვლევრები განსხვავებულად განსაზღვრავდნენ და ზომავდნენ ზეგავლენის ხარისხს. კოლეჯის როლთან დაკავშირებით ასკვნიან, რომ ის უფრო მეტ გავლენას ახდენს ვიდრე საშუალო სკოლა, რამეთუ აქ გამორჩეულად დიდ მნიშვნელობას იძენენ თანატოლთა ჯგუფები (Niemi et al., 1977).

ისეთი სოციალიზაციის აგენტი, როგორიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებია, მისი როლის შესახებ ინდივიდის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებით დიდი რაოდენობით კვლევები არ ჩატარებულა, მაგრამ ის პოლიტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევა ახალგაზრდებისათვის (Niemi et al., 1977). მეცნიერები არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით მკაფიოდ ვერ აფასებენ მასობრივი კომუნიკაციის ზეგავლენის ხარისხს ინდივიდის პოლიტიკურ განვითარებაზე და ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება მხოლოდ განამტკიცებდეს უკვე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ შეხედულებებს (Niemi et al., 1977).

პოლიტიკური სოციალიზაციის კლასიფიკაციას გვთავაზობს ადელსონი, რომელმაც პიაჟეს კოგნიტური განვითარების პრინციპებს მიუყენა პოლიტიკური ცნობიერების განვითარება და ბავშვთა წარმოდგენებზე დაკვირვებით ქვეყნის მთავრობის, მოქალაქეთა უფლებების, საერთო სიკეთეების დანაწილებისა და კანონების შესახებ დაყრდნობით შემოგვთავაზა ინდივიდის პოლიტიკური აზროვნების განვითარების რვა ძირითადი თავისებურება (Adelson, 2008): აბსტრაქტული წარმოდგენების განვითარება; დროითი პერსპექტივის გაფართოება;

სოციოცენტრულობა; მსჯელობის თავისებურების შეცვლა; პოლიტიკური ცოდნის მოცულობის ზრდა; ზოგად-პოლიტიკური პრინციპების სისტემის ფორმირება; ავტორიტარიზმის შემცირება; სოციალური მიზნების გაჩენა. მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ტიპოლოგია ერთი შეხედვით ეტაპობრივად აღწერს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს, მას რამდენიმე პრობლემა აქვს. ჯერ ერთი, ის, ჩემი აზრით, არ საჭიროებდა თავისუბერებათა ჩამონათვალის რვის ნიშნულამდე დაყვანას, რადგან მათგან რამდენიმე შინაარსობრივად მოიცავს და იმეორებს ერთი ან ორი თავისებურებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებსა და მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. მაგალითად, დროითი პერსპექტივის გაფართოება და მსჯელობის თავისუბერების შეცვლა, ორივე თავისებურება უკავშირდება მოზარდობამდე და მოზარდობის პერიოდში ინდივიდის მიერ პოლიტიკური მოვლენების გაცნობიერებისა და შეფასების პროცესს, და იძლევა ერთ მნიშვნელოვან დასკვნას, რომ დროის მატებასთან ერთად იზრდება ინდივიდში პოლიტიკური პროცესების რაციონალურად შეფასებისა და განზოგადების უნარი, ამათგან განსხვავებით აბსტრაქტული წარმოდგენების განვითარება გვთავაზობს კონკრეტულ ასაკობრივ ნიშნულებს, თუმცა იგი კვლავ ფაქტობრივად აქცენტს აკეთებს აღზრდის პროცესში დროის ზრდასთან ერთად არსებულ პოლიტიკის შემეცნების მაღალ ხარისხზე. ადელსონის მიერ შემოთავაზებული ტიპოლოგიების სასარგებლოდ შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ამტკიცებენ იმ აზრს, რომ რაც უფრო განათლებულია და ინტელექტუალური ადამიანი მის გონებრივ განვითარებასთან ერთად, მით უფრო ძლიერდება პოლიტიკური მოვლენების მიმართ კრიტიკა და იდეალურისკენ სწრაფვის სურვილი. პოლიტიკური ცოდნის მატებასთან ერთად ყალიბდება პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც იწყებენ მოზარდები შეფასებას და გაცნობიერებას არსებული პოლიტიკური სისტემის თავისებურებების. ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ განათლება პოლიტიკურ მოვლენათა ბევრად უკეთესი შეფასებისა და გააზრების საწინდარია.

1.2 ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის თეორიული საფუძვლები

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომლებიც ცხოვრობენ თანამედროვე საქართველოში, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებენ სათანადო ყურადღებას, რათა საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ თავი. მათი მობილიზაციისა და ინტეგრაციის პროცესს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან სწორი ცვლილებების გატარება ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. სხვადასხვა საგანმანთლებლო აქტივობები განათლების სისტემაში არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წამახალისებელი მექანიზმი საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესში. ,,ინტეგრაცია" გულისხმობს სახელმწიფოთა მიზანმიმართულ გაერთიანების პროცესს, რათა შექმნან პოლიტიკური თანამეგობრობა (სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, 2004). მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებიდან გამომდინარე, ის შეიძლება უფრო ზეეროვნულ წარმონაქმნად მივიჩნიოთ, ვიდრე სახელმწიფოთაშორისოდ, ამის მაგალითად კი გავიხსენოთ ევროპის კავშირი.

ინტეგრაციის მნიშვნელობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავით ზურაბიშვილი ამბობდა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის მიზანმიმართულ და კარგად გააზრებულ პოლიტიკას შეუძლია შეუწყოს ხელი ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირებას (ზურაბიშვილი, 2003), რომელმაც უნდა შექმნას ისეთი გარემო, სადაც იარსებებს თანასწორობა. ავტორი ამბობს, რომ დღეს საქართველოში ტერმინ ,,ეთნიკურ უმცირესობის" პარალელურად ხშირად გავიგებთ, ისეთ ტერმინებს, როგორებიცაა: ,,ეროვნული უმცირესობა", ,,არაქართული მოსახლეობა", ,,დიასპორა" (ზურაბიშვილი, 2003) და აბსულუტურად ვეთანხმები მას, როდესაც იძახის, რომ თუ გვსურს ეთნიკურმა ჯგუფებმა შეძლონ საკუთარი თავის რეალიზება საზოგადოებაში, პირველყოვლისა, მათ მიმართ ალბათ ყველაზე ნეიტრალურ და მოხერხებულ ტერმინს ,,ეთნიკურ უმცირესობას" უნდა ვიყენებდეთ.

მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ როგორ უყურებენ არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები საკუთარ ,,მე“-ს თანამედროვე საქართველოში. დღემდე მათი მობილიზაციის საქმეში საკუთარი იდენტობის და „თვითობის“ (“self”) გააზრებას დიდი როლი უჭირავს. პოლიტიკურ ჯგუფად და მოქალაქეებად მოიხსენიებენ მათ, რომლებსაც საერთო სიკეთეებისთვის მობილიზება შეუძლიათ (Sandel, 1996). ეთნიკური იდენტობის დეფინიციას პოლიტიკურად კონსტრუირებულად მიიჩნევს ნაგელი, გამომდინარე იქედან, რომ სახელმწიფო წარმოადგენს იმ დომინანტურ ინსტიტუტს, რომელიც გვკარნახობს და განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, რომლებიც თავისთავად მოიცავს ეთნიკურ უმცირესობებსაც (Nagel, 1986). ჩემი აზრით, ეს ტიპოლოგია ძალიან კარგად აფასებს ეთნიკური იდენტობის ფენომენის განსაზღვრაში სახელმწიფოს როლს, ვინაიდან სწორედ სახელმწიფოს დონეზე განმტკიცებულ დემოკრატიას შეუძლია პოლიტიკური მცირე ჯგუფებისთვის სათემო და სამეზობლო თემების ინსტიტუციების საქმიანობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერება პოლიტიკურად და ეკონომიკურად, რათა უზრუნველყოფილი იყოს არადომინანტური ეროვნული ჯგუფებისთვის თავიანთი განსხვავებულობისა და საჭიროებების წარმოჩენისთვის ფართო შესაძლებლობანი.

ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქართული ენისა და განათლების დაბალი დონე ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ ახალგაზრდებში (სტეპანიანი & ხალილოვი, 2003). ქართული ენის არცოდნა არის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობათა მიღების კუთხით (მეხუზლა & როშე, 2009). ამასთან ერთად, ისინი არ ფლობენ საჭირო ცოდნას იმ უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, რომლებიც გააჩნიათ, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეებს. ვფიქრობ, რომ სკოლა უნდა უწყობდეს სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას ხელს, და არა მარტო ის, ზოგადად სხვა ფაქტორებიც, მათ შორის: დასაქმების ხელშეწყობა, პოლიტიკურ სფეროში უმცირესობების რიცხვთა ზრდა, კულტურათშორისი

დიალოგები და ა.შ. საბოლოო ჯამში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფებისათვის საერთო სიკეთეებზე წვდომა და ჩართულობა მიმდინარე პროცესებში.

II თავი. პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამებით დაინტერესების თავისებურებანი

კვლევის პროცესში სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა წელს "1+4" პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებთან, რომელთა შორის არიან პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამების სტუდენტები. ასევე, პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთანაც. კვლევის პროცესში გამოიკვეთა მოცემული პროგრამების მიმართულებით დაინტერესების მთავარი ფაქტორები, ამასთან ერთად მათი შეფასებები და დამოკიდებულებები პროგრამის მიმართ.

საინტერესოა, რომ კვლევის პროცესში ჩართულმა სტუდენტებმა ზემოთ დასახელებულ უმაღლეს საგანმათლებლო საბაკალავრო პროგრამებზე დაინტერესება სხვადასხვა ფაქტორით ახსნეს. ძირითადად, მათთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადჰყო, რომ მასწავლებლებმა და თანატოლებმა უფრო დიდი როლი ითამაშეს პოლიტიკით დაინტერესებაში, ვიდრე ოჯახის წევრებმა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებმა. ამავდროულად, მათი უმეტესობა აღნიშნავდა, რომ სკოლაში მათი საყვარელი საგნები იყო ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლება, რომელთა სასწავლო მასალის შინაარსი ძალიან ახლოს არის პოლიტიკურ ამბებსა და მოვლენებთან: ,,ჩემი ისტორიის და გეოგრაფიის მასწავლებელი ერთი და იგივე პიროვნება იყო. მან განაპირობა ჩემი ამ საგნებისადმი სიყვარული და ინტერესი, შემდეგ ეს პოლიტიკისა და პოლიტიკის მეცნიერების სიყვარულშიც გადაიზარდა." (ინტერვიუ თსუ-ს კურსდამთავრებულთან, 07.05.2022).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა სტუდენტებმა უმაღლესში სწავლის გაგრძელებაზე საუბრისას პროფესიის არჩევის შესახებ გადაწყვეტილების

მიღების პროცესში მასწავლებელთა განსაკუთრებულ როლზე ისაუბრეს. ,,ჯერ კიდევ მე-7 კლასში ვიყავი, ჩემი ქართულის მასწავლებელი მეუბნებოდა: შენ იცი რუსული, ინგლისური, თურქული, აზერბაიჯანული და ქართული კარგადო. ის მირჩევდა, საერთაშორისო ურთიერთობებზე ჩააბარეო, ტვინში ჩაჯდა ეს ყველაფერი. მან დაინახა ჩემში სამშობლოს სიყვარული, შენ შეგიძლია საზღვარგარეთ წარმოადგინო შენი ქვეყანაო, რადგან გიყვარს შენი სამშობლოო, გიყვარს ისტორია, გეოგრაფია და პოლიტიკაო“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.05.2022). კიდევ ერთი რესპოდენტი აღნიშნავს: ,,ჩემი სამოქალაქოს მასწავლებელი იყო ახალგაზრდა, ის თავად მერიაში მუშაობდა, სიმართლე გითხრათ, მხოლოდ მას და მე გვიყვარდა პოლიტიკაზე საუბარი, ჩემი რაიონის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, რადგანაც სულ მაინტერესებდა, ვინ იყო მთავარი და ა.შ. “ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 18.05.2022).

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მშობლებს სრულიად განსხვავებული პროფესიები აქვთ პოლიტიკისგან, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით სხვა ოჯახის წევრებზეც, რომლებმაც შეიძლება პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც იქონიეს გავლენა. ,,ბაბუაჩემი მასწავლებელი იყო, ბაბუაჩემის ძმა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო ბიძაჩემი ახლა სოფლის გამგებელია, ასევე ჩემს ერთ ნათესავს რაიონში მაღალი თანამდებობა ეჭირა. მაგრამ, მათ საქმიანობას ან აზრებს არ მოუხდენია ჩემზე გადამწყვეტი გავლენა“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 26.05.2022). გამოკითხული რესპოდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ მათი მშობლების რეაქცია პროფესიის არჩევის გაგების შესახებ უარყოფითი იყო და ისმოდა სხვადასხვა შეფასებები: ,, რათ გინდა პოლიტიკა? პოლიტიკა ბინძური საქმეა! თუ არავინ გყავს ვერაფერს მიაღწევ შენით და ა.შ.“ (ინტერვიუები თსუ-ს სტუდენტებთან, 2022), თუმცა მათ ვისაც მსგავსი განცხადებები ესმოდათ აღნიშნეს, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეეგუენ მათი მშობლები მათვე გადაწყვეტილებას, რადგან ისინი დამოუკიდებლად და თავისუფლად, პირადი ინტერესებით მოქმედებდნენ.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ დასაქმების შანსები და დასაქმების შემთხვევაში მაღალი ანაზღურება მათთვის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, მაგრამ არა პირველხარისხოვანი, რადგან ისინი უფრო მეტად ორიენტირებულნი იყვნენ ცოდნის გაღრმავებასა და საკუთარი თავის განვითარებისკენ. პირად ინტერესებზე საუბრის მომენტში აღნიშნავდნენ, რომ უმაღლესში მიღებული განათლებით მათ სურდათ შეეცვალათ ეთნიკური უმცირესობების ის რთული მდგომარეობა, რომელიც მათ ჰქონდათ: "როდესაც რაიონში გავდიოდით, აზერბაიჯანელებს ისე მოგვმართავდნენ, როგორც ,,თათრებს''. რაც უფრო ვიზრდებოდი, მეტად ვფიქრობდი, რომ პოლიტიკაა ამის გამასწორებელი ფაქტორი" (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.05.2022).

საინტერესოა, რომ სკოლის მეგობრებმა თუ სხვა თანატოლებმა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენლებმა გაიცნეს განსხვავებული აქტივობებში მონაწილეობის დროს, დიდი წვლილი შეიტანეს ეთნიკურ უმცირესობათა პოლიტიკის მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებაში. ,,ძირითადი ინფორმაცია ჩვენი მიმართულების შესახებ ჩემი მეგობრისგან მივიღე, რომელიც ახლა დამამთავრებელ სემესტრშია საერთაშორისო ურთიერთობებზე" (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 09.05.2022). მსგავსი ფაქტის შესახებ სხვა სტუდენტმაც აღნიშნა: ,,საზაფხულო სკოლაში გაცნობილ ხალხთან ურთიერთობამ კიდევ უფრო დამაინტერესა საერთაშორისო ურთიერთობებით, რადგან იქ ხშირად განვიხილავდით და მათ მიერ დავალებად მოცემულ ესეებშიც ვაფიქსირებდით ჩვენს აზრებს საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე ამბებზე. (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.05.2022).

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე საუბრისას რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ტელევიზორს იყენებდნენ, მაგრამ სკოლის პერიოდში არ უყურებდნენ ქართულ ტელეარხებს, ქართულ ენაზე საინფორმაციო გადაცემებისა და ტელეარხების ყურება უნივერსიტეტში ჩაბარების

შემდეგ აქტიურად დაიწყეს, ისიც ქართული ენის გაუმჯობესების მიზნით, აქედან გამომდინარე, ისინი მასმედიას არ ასახელებენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად უმაღლესში ჩაბარების მხრივ. ასევე გაირკვა, რომ მასმედია საშუალებების შედეგად მიღებული ინფორმაცია ეხმარებოდათ პოლიტიკის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და პოლიტიკური ორიენტაციების ჩამოყალიბებაში, თუმცა სკოლის პერიოდში, თუკი მშობლებისგან განსხვავებული შეხედულებები ნაკლებად ჰქონდათ, უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ მათი და მშობლების პოლიტიკური ღირებულებები უფრო შეიცვალა, რადგან უკვე ინტერნეტის გამოყენება და სხვადასხვა სტატიის გაცნობა დაიწყეს, რომლებმაც შესამჩნევი კვალი დატოვა მათ პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე. ,,უმაღლესში ჩაბარების შემდეგ ინტერნეტში დავიწყე უფრო ხშირად ინფორმაციის მოძიება, სადაც კრიტიკა უფრო მეტი იყო იმ სტატიებში თუ ვებგვერდებზე, სადაც მასალებს ვეცნობოდი. მერე დავაკვირდი, რომ იმას, რასაც ჩემი მშობლები უყურებდნენ, მარტივად იჯერებდნენ, მე კი ნელნელა ეჭვი შემქონდა, და კითხვებს ვსვამდი, რომლებზეც დამაჯერებელ პასუხებს ვერ ვიღებდი მშობლებისგან“ (ინტერვიუ თსუ-ს კურსდამთავრებულთან, 03.06.2022).

2.1 საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამების როლი ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესში

სიღრმისეული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ სტუდენტების ერთი ნაწილი, რომელიც ქართული ენის მოსამზადებელ კურსზე ერთი წელი სწავლობდა, არ იყო საკმარისად შედეგიანი, რადგან მათთვის ლექტორებს არ მიუწოდებიათ მიახლოებითი ინფორმაცია მაინც იმის შესახებ, თუ როგორი სასწავლო მასალა ან ქულების დაგროვების სისტემა არსებობდა საბაკალავრო პროგრამებზე, აგრეთვე, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ქართული ენის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. ,,ჩვენ მხოლოდ ქართული ენის გრამატიკას ვსწავლობდით, იშვიათად ვიყავით დაკავებული სხვა აქტივობით. მეორე სემესტრში საერთაშორისოზე არაფერი გვისწავლია, გრამატიკა გავაგრძელეთ. ესეების გაკეთების წინაშე, რომ დავდექი პირველი კურსზე, სრულიად მოუმზადებელი ვიყავი, რადგან სკოლაში ან მოსამზადებელ კურსზე ამისთვის არ შევუმზადებივართ“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 18.06.2022). იმავეს სხვა სტუდენტიც აღნიშნავს: ,,მოსამზადებელი კურსის მეორე სემესტრში ჩემი ჯგუფი უფრო ხშირად წერდა დავალებებს პოლიტიკის შესახებ არსებულ თემებზე, თუმცა ისევ უფრო გრამატიკას ვსწავლობდით“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.06.2022). როგორც ირკვევა, პროგრამაზე სწავლების მეორე სემესტრში შედარებით დიდი დრო ეთმობა იმ სასწავლო მასალებს, რომლებსაც აგრძელებენ უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებაში, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება ყველას შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი სტუდენტი ქართული ენის მოსამზადებელი კურსის დადებით მხარეებზეც საუბრობს და ცნობილი ხდება, რომ ზემოთხსენებული პროგრამის წარმატებულად დასრულება რეპეტიტორებზე დიდად არის დამოკიდებული: ,,მეორე სემესტრში ჩემი ქართულის ლექტორისგან გავიგე როგორია საერთაშორისო ურთიერთობები, რა პერსპექტივები აქვს მას, მან გაზარდა ჩემში ინტერესი, რადგან დაინახა ჩემი ფიქრები და მიზნები სწორად. (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.05.2022)

სწავლის პერიოდში არსებულ პრობლემებზე საუბრისას ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ ქართული ენის ცოდნის არასაკმარისი ცოდნის გამო შეექმნათ სხვადასხვა სახის დაბრკოლება: ახალი ურთიერთობების დაწყება და მეგობრების გაჩენა; ლექციის მოსმენის დროს ლექტორის საუბრის სრულად შინაარსობრივად გააზრება; ესეებისა და რეფერატების წერა და ა.შ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი სხვადასხვა სახის შეფასებას აძლევენ მათი და ლექტორების ურთერთდამოკიდებულებას. ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ზოგიერთი ლექტორის მხრიდან შეიმჩნევა დისკრიმინაციული ან არასათანადო ქმედებები. ,,შეიძლება მასალა კარგად ვერ გავიაზროთ, რამე ტერმინი ვერ გავიგოთ. ლექტორმა უნდა იცოდეს, რომ ეს გამოცდა არ დაუწერია ეთნიკურად ქართველს, ეს ზედმეტი სიმკაცრე ჩვენს მიმართ მართლაც საგრძნობია. (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.05.2022) ლექტორების მხრიდან დისკრიმინაციული თვალით ყურებაზე საუბრობს ერთ-ერთი სტუდენტი: ,,ყოფილან ისეთები, რომლების მიმართ ანტიპათიას განვიცდი. ეს გამოიხატა მათ ლაპარაკში, ქართულ ენას, რომ ვერ ვფლობ კარგად, ეს აღიზიანებთ. ამას ვგრძნობდი მათი სახის გამომეტყველებით. მეკითხებოდნენ რატომ არ ვიცოდი ქართული, როცა ისედაც ხვდებოდნენ მგონი ამას.“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 28.05.2022). გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანი ლექტორების შესახებ დადებითად საუბრობდა. ,,ლექტორები სწავლის დაწყების დღიდან გვაფრთხილებდნენ სირთულეებზე ენასთან დაკავშირებით, ესეების შესწორებისას ისინი შინაარსს ხედავდნენ, რომლის გადმოცემაც მსურდა. ნამდვილად არ ვარ უკმაყოფილო.“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 08.05.2022) ამასთან ერთად, მათმა აბსოლუტურმა უმრავლესობამ შენიშნა, რომ მათი სამოქალაქო ცნობიერების დონე მკვეთრად გაუმჯობესდა, რადგან დღეს მათ უკეთ იციან საკუთარი უფლებები და მოვალეობები, ასევე ის, თუ როგორ შეძლონ და გამოიყენონ კანონის შესაბამისად საკუთარი შესაძლებლობები, რათა შეცვალონ საკუთარ საცხოვრებელ რეგიონსა თუ ქალაქში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ვითარება. ,,გულით მინდოდა მეპოვა გზა იმისა, რომ შეცვლილიყო წარმოდგენა ეთნიკური

უმცირესობების, ჩემს შემთხვევაში ეთნიკურად აზერბაიჯანელების შესახებ. აქ გაცნობილი ხალხის დახმარებით მე ვიცი სად უნდა ამოვიღო ხმა და როგორ.“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენთან, 08.05.2022). ასევე ცოდნის რეალიზების მხრივ საბაკალავრო პროგრამას თსუ-ს პოლიტიკის მეცნიერების კურსდამთავრებული დადებითად აფასებს და აღნიშნავს: ,,დღეს მერიის წარმომადგენელი ვარ ჩემს სოფელში და თუ მკითხავთ სად გავიგე პოლიტიკის და საკუთარი ქვეყნის შესახებ მეტი, გეტყვით, რომ უნივერსიტეტში, ლექტორებისგან, თანაკურსელებისგან, იმისგან, რასაც იქ ვსწავლობდი, და რაც დღეს მეხმარება გავაკეთო რამე აქ მცხოვრებთათვის. (ინტერვიუ თსუ-ს კურსდამთავრებულთან, 28.05.2022)

ეთნიკურად ქართველებსა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების სტუდენტებს შორის ურთიერთობასთან დაკავშირებით ვხვდებით განსხვავებულ შეფასებებს. კვლევაში ჩართული ზოგიერთი ახალგაზრდა თანაკურსელებთან ურთიერთობას დადებითად აფასებს და ამბობს, რომ საუნივერსიტეტო სივრცის გარდა, მათთან ერთად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობით არიან დაკავებულნი. ,,დავდიოდი სხვადასხვა ივენთსა თუ ექსკურსიაზე. სკოლაზე მეტად აქ უკეთ იგრძნობა მეგობრული გარემო, რადგან სკოლაში მხოლოდ აზერბაიჯანელებთან ვიყავი, აქ სომხებთან და ქართველებთან უფრო ხშირად მიწევს ურთიერთობა“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 03.08.2022). თუმცა კვლევაში ჩართული სტუდენტების მეორე ნაწილი მწუხარებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ შეიძინეს ისეთი ახლო მეგობრები, როგორებიც მათ ჩაბარებამდე სურდათ. ,,არ მყავს ისეთი მეგობარი, რომელთან ერთადაც ლექციის დასრულების შემდეგ სადმე წავიდოდი, მხოლოდ ჩატებში მიმოწერით შემოიფარგლებოდა ონლაინ სწავლისას ჩვენი მეგობრობა“ (ინტერვიუ თსუ-ს სტუდენტთან, 28.05.2022).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა ინტეგრირებასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გამოჩნდა კვლევის პროცესში:

სხვა ლექტორებთან და სტუდენტებთან ურთიერთობა - ინტეგრაციისთვის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორებია ლექტორებთან და ეთნიკურად ქართველ, სომეხ ან აზერბაიჯანელ სტუდენტებთან ჯანსაღი და ხშირი კომუნიკაციის არსებობა, რასაც უნდა უზრუნველყოფდნენ როგორც თვითონ, ასევე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა სხვადასხვა სახის აქტივობებით. კვლევაში ჩართული კურსდამთავრებულები აცხადებდნენ, რომ მათ საუნივერსიტეტო სოციუმში ინტეგრირებას ხელს უშლიდა ლექციებზე სხვადასხვა კორპუსებში სიარული, ხოლო ის სტუდენტები, რომლებიც დღეს სწავლობენ ამ პროგრამებზე, პანდემიის შედეგად გამოწვეულ შეზღუდვებსა და დისტანციური სწავლების მეთოდს ასახელებდნენ მთავარ პრობლემად სხვებთან ურთიერთობების განვითარების პროცესში.

სხვადასხვა სპორტული, კულტურული და საგანმათლებლო აქტივობები - კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ცდილობდნენ მიეღოთ მონაწილეობა უმაღლესი საგანმათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებში, ექსპედიციებში, კონკურსებსა და სპორტულ შეჯიბრებებში. მათი ნაწილი გაწევრიანებული იყო სტუდენტური პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტში, თუმცა კოვიდ პანდემიის შედეგად გამოწვეული შეზღუდვების გამო ვერ შეძლეს ნორმალურად სხვა სტუდენტებთან დაახლოება. სხვადასხვა ტიპის აქტივობის ჩატარება უმაღლესი საგანმათლებლოს დაწესებულების ახალგაზრდული კლუბების მხრიდან ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში.

პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამები - როგორც აღმოჩნდა, კვლევაში ჩართული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უმრავლესობა, მიუხედავად მათ გარშემო არსებული პრობლემებისა და გამოწვევებისა, საერთო ჯამში, დადებითად აფასებს მიმდინარე პროგრამებს და აცხადებს, რომ ვისაც პოლიტიკა აინტერესებს, მათი ადგილი სწორედ ზემოთხსენებულ სპეციალობებზეა, რადგან ბევრი კარგი ლექტორი და ძალიან

საინტერესო სასწავლო მასალაა, რომელთა განხილვაც კიდევ უფრო საინტერესო ხდება სემინარებზე თანაკურსელებთან დისკურსიის პროცესში. მათმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, რომ გაიზარდოს ადგილები ეთნიკური უმცირესობებისთვის და ასევე ინფორმირებულობა ამ ძირითადი სპეციალობების შესახებ, რამეთუ საკმარისად პოპულარული და გავრცელებული არაა ისინი არადომიმანტურ ეთნიკურ ჯგუფებში.

ამრიგად, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამებზე ჩაბარებულ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს შეიძლება ითქვას, რომ აქვთ ინტეგრირებასთან დაკავშირებული პრობლემები და წინააღმდეგობები, რომელთა გადაჭრის გზები უნდა მოიძებნოს არა მხოლოდ უმაღლესი განათლების პოლიტიკაში შემუშავებული რეფორმებსა და ცვლილებებში, არამედ ზემოთხსენებული პროგრამების ხელმძღვანელების მიერ განხორციელებულ ინიციატივებსა თუ საუნივერსიტეტო სივრცეში მყოფი ყველა მნიშვნელოვანი პიროვნების ძალისხმევაში, მათ შორის ლექტორებისაც, რათა არადომინანტური ეთნიკური ჯგუფის წევრებმა შეძლონ ეფექტურად ადაპტაცია და ინტეგრაცია საზოგადოებასთან უნივერსიტეტში ჩაბარების დღიდან.

დასკვნა

ამრიგად, მოცემული ნაშრომის მიზანი იყო გაანალიზებულიყო სხვადასხვა სოციალიზაციის აგენტის როლი პოლიტიკით დაინტერესების პროცესში და შესწავლილიყო ის, თუ რა წვლილი შეიტანეს ამ აგენტებმა ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალო და სოციალური ინტეგრირების თვალსაზრისით. კვლევის მიზნის მისაღწევად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამავე მიმართულებებზე მყოფ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ უმცირესობათა პოლიტიკით დაინტერესებას რამდენიმე ფაქტორი ხსნის, რომელთა როლი ამ პროცესში განსხვავებულია ერთმანეთისგან. ამასთან ერთად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამები ხელს უწყობს როგორც ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის წევრების პოლიტიკური სოციალიზაციის ზრდას, ასევე მათ ინტეგრაციას.

კვლევის პირველი ჰიპოთეზის გადამოწმებისას, რომლის მიხედვითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის უმაღლეს საგანმანათლებლო საფეხურზე პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესებას განაპირობებს ისეთი ფაქტორები, როგორებიც პოლიტიკური სოციალიზაციის აგენტების: ოჯახის წევრების, სკოლისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების დიდი როლია - ჩატარებული გამოკითხვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი პოლიტიკით დაინტერესების პროცესში განსაკუთრებული როლი მასწავლებლებმა და თანატოლებმა შეასრულეს, რადგან კვლევაში ჩართული რესპოდენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ გამოარჩია სკოლის პერიოდში ერთმანეთის მსგავსად საკუთარი საყვარელი საგნები, მასწავლებლებსა და თანატოლებთან მათი ურთიერთობის თავისებურებები, რომლებიც სხვა ფაქტორებს, ოჯახის წევრებისა თუ მასმედია საშუალებების როლს ბევრად აღემატება.

ამავდროულად, მოცემული კვლევის მეორე ჰიპოთეზა - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამები და უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობა ხელს უწყობს ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების ინტეგრაციასა და ადაპტიას საზოგადოებაში - ცდილობდა წარმოედგინა ზემოთხსენებულ ძირითად სპეციალობებზე ლექტორთა და სტუდენტთა დამოკიდებულებები და უნივერსიტეტში გამართული სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის ხარისხით ინტეგრაციის დონე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობის ჯგუფთა წევრი სტუდენტები, რომლებიც დღეს სწავლობენ ამ მიმართულებებზე, არც თუ ისე მჭიდრო ურთიერთობით გამოირჩევიან ქართველ სტუდენტებთან, რისი მთავარი გამომწვევი მიზეზი არის დისტანციური სწავლება, რაც შეეხება კურსდამთავრებულებს, მათ რამდენიმე ახლო მეგობარი შეიძინეს, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ კორპუსებში უწევდათ სიარული, მათი სწავლების პერიოდში ხშირად გამართული ექსკურსიები, სპორტული და კულტურული ხასიათის შეჯიბრებები, რომლებშიც ხშირად იყვნენ ჩართულნი, ხელს უწყობდა სხვებთან დაახლოებას. გამართლდა მეცნიერთა ვარაუდი, რომ უმაღლესი განათლების როლი უფრი დიდია სოციალიზაციის პროცესში, ვიდრე საშუალო განათლებისა, რადგან ამ დროს წინა პლანზე იწევენ თანატოლები, რომლებიც უნივერსიტეტში, სკოლისგან განსხვავებით, ინტელექტუალურად მეტად განვითარებულნი არიან.

კვლევის მიგნებებიდან უნდა აღინიშნოს, რომ ისტონისა და დენისის მიერ შემოთავაზებული თეორიის მიხედვით ოჯახისა და შვილების მოსაზრებათა მსგავსების შესახებ არ გამართლდა, რადგან შეიძლება ისინი ერთსა და იმავე პოლიტიკური მოვლენების ქვეშ იყვნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მათი საინფორმაციო წყაროების ცვლილების გამო მათი შეხედულებები და ღირებულებები შეიცვალა. თუკი ოჯახში ყოფნის დროს ერთსა და იმავე ტელეარხებს უყურებდნენ ეთნიკური უმცირესოების წარმომადგენელი სტუდენტები და მათი მშობლები,

სკოლის ბოლო წლებიდან დაწყებული უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ ტელევიზორის ადგილი ინტერნეტმა და სხვადასხვა უცხოურმა თუ ქართულმა ტელეარხმა ჩაანაცვლა ახალგაზრდებისთვის. კრიტიკული მედიასაშუალებებისა და სტატიების გაცნობამ ხელი შეუწყო ინდივიდში პოლიტიკურ პროცესთა რაციონალურად შეფასების უნარის განვითარებას, რის მიხედვითაც ადელსონის მიერ შემოთავაზებული თეორია გამართლდა, რომ დროის ზრდასთან ერთად ინდივიდში იზრდება პოლიტიკური სისტემის სრულყოფის სურვილი.

მაშასადამე, მოცემული კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ეთნიკურ უმცირესობათა ახალგაზრდა წარმომადგენელთა პოლიტიკით დაინტერესების მთავარი ფაქტორები და მათი როლი. გაირკვა, რომ პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი სპეციალობები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებულ ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფის წევრებს ეხმარება პოლიტიკის შესახებ ცოდნის უკეთ დაგროვებასა და განვითარებაში, რაც ხელს უწყობს როგორც მათ სოციალურ და პოლიტიკურ, ასევე სამოქალაქო ინტეგრაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (2018). ,,საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. (ინფორმაცია მიღებულია 08.05.2022) https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (2015). ,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" (ინფორმაცია მიღებულია 10.05.2022) https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879

რუსუდან ამირეჯიბი & კახა გაბუნია, (ივნისი, 2021). ,,საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა". (ინფორმაცია მიღებულია 10.05.2022) https://osgf.ge/publication/etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-kvleva/

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (2010). ,,უმაღლესი განათლების შესახებ"

(ინფორმაცია მიღებულია 10.05.2022) https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=97

Aris.ge-განათლება, (2015). ,,ტოპ 10 ყველაზე დიდი კონკურსის მქონე საგანმანათლებლო პროგრამა პირველი პრიორიტეტით – გამოცდები." (ინფორმაცია მიღებულია 10.05.2022) https://edu.aris.ge/news/top-yvelaze-didi-konkursis-mqone-saganmanatleblo-programa-pirveli-prioritetit-gamocdebi-2015.html

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრი, (2021) ,,ეროვნული გამოცდების წლიური ანგარიში." (ინფორმაცია მიღებულია 11.05.2022) https://naec.ge/uploads/postData/20-22/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%

E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20-%202021.pdf

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), CRRC–საქართველო, (2018). საზოგადოებრივი აზრის კვლევა. (ინფორმაცია მიღებულია 11.05.2022) https://osgf.ge/kvlevis-shedegebi-etnikuri-umciresobebis-warmomadgenlebis-politikur-ckhovrebashi-monawileobis-shesakheb/

ცისანა ხუნდაძე, (2016). ,,ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები.“ (ინფორმაცია მიღებულია 11.05.2022) https://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/cisana_xundadze.pdf

ნიკა ჩიტაძე, (2018). ,,პოლიტოლოგია“

ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), (2017). ,,სტუდენტების განწყობა უმცირესობებისადმი და მედიის როლი“. (ინფორმაცია მიღებულია 12.05.2022) https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi-research-cover-geo-web.pdf

ბთკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, (2008). ,,ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი“. (ინფორმაცია მიღებულია 12.05.2022)

https://elfiles.emis.ge/uploads/41197/conversions/EtnikuriUmciresobisSamoqalaqoIntegraciisPolitikisAnalizi-compressed.pdf

დავით ზურაბიშვილი, (2003) ,,ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში.“ (ინფორმაცია მიღებულია 12.05.2022) http://www.cipdd.org/upload/files/One%20Society,%20Many%20Ethnicities%20-%20text%20Geo.pdf

ღია საზოგადოება - საქართველო (2004). სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი: ლოგოს პრესი.

სტეპანიანი, ა., & ხალილოვი, ზ. (2003). ,,ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობა ქართულ საზოგადოებაში“ (ინფორმაცია მიღებულია 13.05.2022) https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/252109

მეხუზლა. ს & როშე. ე, (2009). ,,განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში,“ (ინფორმაცია მიღებულია 13.05.2022) https://www.files.ethz.ch/isn/106681/working_paper_46_geo.pdf

Almond, G., & Verba, S. (1989). The Civic Culture Revisited. Newbury Park, Calif: Sage Publications.

Almond, G. (1956). Comparative Political Systems. Journal of Politics, 18(3), 391-409. doi:10.2307/2127255.

Lipset, S. (1959). Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy. American Political Science Review, 53(1), 69-105.

Niemi, R. G., & Sobieszek, B. I. 1977. Political socialization. Annual Review of Sociology, 3,

209-233.

Adelson, J. (2008). Inventing adolescence: The Political Psychology of Everyday Schooling (pp. 185-203). New Brunswick, N.J.: Transaction Books.

Sandel, M (1996) *Democracy's Discontent: America in search of a public philosophy*, Cambridge, MA: Belknap Press of Harvard University Press.

Nagel, J. (1986). The political construction of ethnicity. Competitive ethnic relations, 93-112.

Pateman, C. (1971). Political Culture, Political Structure and Political Change. British Journal of Political Science, 1(3), 291-305.